საქართველო

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

N 27 15

24/06/2020

„ვანის მუნიციპალიტეტში ახალი ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო პროექტის, საგრანტო განაცხადის“ მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვთმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მეორე პუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N 628 დადგენილებით დამტკიცებული „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მოწონებული იქნას ,,ვანის მუნიციპალიტეტში ახალი ეკონომიკური საქმიანობის სტიმულირებისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში წარსადგენი, დიხაშხოს ადმინისტრაციულ ერთეულში ლაბაჯოურის უბნის საავტომობილო გზის რებილიტაციის პროექტის საგრანტო განაცხადი“ (დანართი N1).
2. ვანის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს საგრანტო პროექტის განაცხადის წარდგენა არსებული წესით.
3. განკარგულება ძალაშის შედის ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1).

გიორგი ივანიაძე

საკრებულოს თავმჯდომარე - მ.შ.